

ბრძანების პროექტი

თბილისი

№ 564/03

28 სექტემბერი 2015წ.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ

“უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, 52-ე მუხლის მე-3 პუნქტის, „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წესდების“ მე-14 მუხლის შესაბამისად და “აბიტურიენტებისათვის/სტუდენტებისათვის ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის უფლების მინიჭების თაობაზე” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 22 სექტემბრის №1055 ბრძანების გათვალისწინებით,

ვბრძანებ:

- I. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის ინგლისურენოვან პროგრამაზე ჩარიცხულ იქნენ შემდეგი მოქალაქეები:
 1. მანოჯ სელვან სუბაშ ჩანდრა ბოსე- ინდოეთის რესპუბლიკის მოქალაქე;
 2. პრადჰუმნ გუპტა- ინდოეთის რესპუბლიკის მოქალაქე;
 3. ბჰარატ დჰამოდარან- ინდოეთის რესპუბლიკის მოქალაქე;
 4. გოპალა კრიშნან მონიშა- ინდოეთის რესპუბლიკის მოქალაქე;
 5. აშვინ უდენია- ინდოეთის რესპუბლიკის მოქალაქე;

- II. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის ქართულენოვან პროგრამაზე ჩარიცხულ იქნას საქართველოს მოქალაქე მერი ქსოვრელი.

- III. ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულ სტუდენტებს ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადა განესაზღვროთ 2015 წლის 30 ნოემბრამდე.
- IV. ამ ბრძანების მეორე პუნქტით განსაზღვრულ სტუდენტს ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადა განესაზღვროს 2015 წლის 30 ოქტომბრამდე.
- V. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე და ჩარიცხული სტუდენტების სწავლების კურსის განსაზღვრა დაევალოს მედიცინის ფაკულტეტის დეკანს თ. ჩიქოვანს, თსსუ-ის უცხოელ სტუდენტთა განათლების დეპარტამენტის უფროსს დ. თოფურიას.
- VI. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ბრძანების გამოქვეყნება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.
- VII. ბრძანება ეგზავნება ვიცე-რექტორს რ. ბერიაშვილს, მედიცინის ფაკულტეტის დეკანს თ. ჩიქოვანს, უცხოელ სტუდენტთა განათლების დეპარტამენტის უფროსს დ. თოფურიას, საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს დ. დელიბაშვილს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს ზ. ტალახაძეს, სასწავლო პროგრამების მართვის, შეფასებისა და სტუდენტთა რეგისტრაციის დეპარტამენტის უფროსს რ. რუხაძეს, ფინანსური რესურსების მართვის და აღრიცხვა-ანგარიშგების დეპარტამენტის უფროსს ნ. მარიამიძეს, მთავარ ბუღალტერს ი. დოლიძეს.
- VIII. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.